საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10355/01
04/10/2021

10355-01-2-202110041041

შპს ,,გზას“
მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის N51

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 23 სექტემბრის N17163 წერილი, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადებას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიის მდებარეობის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის:
  - საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატები და საკადასტრო კოდი. ამასთან, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისთვის საპროექტო ტერიტორიად მითითებულია სხვადასხვა მისამართები (ქ. ბათუმში აკაკი შანიძის ქუჩა №5 და აკაკი შანიძის I შესახვევი №5);
  - 2007 წლის 15 მაისს შპს ,,გზის“ (ს/კ - 245525132) ასფალტ-ბეტონის ქარხნის ფუნქციონირებაზე **(დაბა ხელვაჩაური, წერეთლის ქ. №11)** გაცემულია N 12 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (საქართველოს გარემოს დაცვისა სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წილს 5 აპრილის N 2-392 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება). გამწმენდი ნაგებობის მოწყობა კომპანიას განსაზღვრული ჰქონდა, როგორც, N 12 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (საქართველოს გარემოს დაცვისა სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წილს 5 აპრილის N 2-392 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება) გათვალისწინებული ერთ-ერთი პირობის, ისე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2021 წლის 22 ივლისის №DES2 21 00044966 წერილით მიწოდებული ადმინისტრაციული მიწერილობის (N 002071) შესაბამისად. №12 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და შესაბამისი გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა გათვალისწინებულია დაბა ხელვაჩაურში, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მე-7 კმ-ზე, ხოლო შპს ,,გზა“ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაციას გეგმავს სხვა ტეტიროიაზე;

- სკრინინგის განცხადების მიხედვით, კომპანია **გეგმავს** ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაციას, ამასთან სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ წყლების გაწმენდა მოხდება მექანიკურად, საწარმოს ტერიტორიაზე **არსებულ**

მექანიკური ტიპის გამწმენდში. ზემოაღნიშნული ურთიერთგამომრიცხავი საკითხი ასევე საჭიროებს დაზუსტებას;

- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატების შესახებ, ამასთან წარმოსადგენია ინფორმაცია გამწმენდი ნაგებობიდან წყალჩაშვების წერტილამდე გაწმენდილი წყლის ორგანიზებულად გაყვანის შესახებ;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია გამწმენდი ნაგებობის გაწმენდის ეფექტურობის შესახებ, ასევე ინფორმაცია ჩამდნარე წყლის შემადგენლობის შესახებ - გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ, შესაბამისი დასაშვები ნორმების მითითებით.

სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით დაზუსტებული/გადამუშავებული სკრინინგის განცხადების განმეორებით წარმოდგენის შემდეგ. ამასთან, სკრინინგის განცხადება მომზადებული უნდა იქნეს კანონმდებლობით დადგენილი წესის მოთხოვნათა სრული დაცვით, მათ შორის მოცემული უნდა იყოს სათანადო ინფორმაცია ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 შესაბამისად.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე